სანოტარო მოქმედების ინდივიდუალური ნომერი

6522443990922З

საქართველო

სანოტარო მოქმედების დასახელება

იურიდიული პირის (ასევე, ინდივიდუალური მეწარმის მიერ) მიერ მინდობილობის/რწმუნებულების დადასტურება

სანოტარო მოქმედების რეგისტრაციის ნომერი

N230661259

რეგისტრაციის თარიღი

23.05.2023 წ

ნოტარიუსი: ანჟელა მანია
მისამართი: ქ. თბილისი, იონა ვაკელის ქ. N 1
ტელეფონი: 5 (93) 677685; ელ.ფოსტა amania@notary.ge

სანოტარო მოქმედებისა და სანოტარო აქტის შესახებ ინფორმაციის (მისი შექმნის, შეცვლის და/ან გაუქმების შესახებ) მიღება–გადამოწმება შეგიძლიათ საქართველოს ნოტარიუსთა პალატის ვებ–გვერდზე: **www.notary.ge** ან ასევე შეგიძლიათ დარეკოთ ტელეფონზე: **+995(32) 2 66 19 18**

საქართველო
სანოტარო აქტი
მინდობილობა

ორიათას ოცდასამი წლის ოცდასამ მაისს, მე, ანჟელა მანიას, ნოტარიუსს, ჩემს სანოტარო ბიუროში, რომელიც მდებარეობს მისამართზე: ქ. თბილისი, იონა ვაკელის ქ. #1, მომმართა შემდეგმა სრულწლოვანმა და ქმედუნარიანმა პირმა ალექსი მოდებაძემ, მან, როგორც შპს „პანორამა“-ს დირექტორმა, განაცხ. და, რომ სურს უფლებამოსილება მიანიჭოს გიორგი ხმალაძეს. ალექსი მოდებაძემ მოითხოვა მინდობილობის შედგენა და მისი დამოწმება სანოტარო წესით ჩემს მიერ. მე დავადგინე მისი პირადობა წარმოდგენილი პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტით და დავრწმუნდი, რომ მე ნამდვილად აღნიშნულმა პიროვნებამ მომმართა. მე შევამოწმე მისი ქმედუნარიანობა და დავრწმუნდი, რომ მის ქმედუნარიანობაში ეჭვის შეტანის საფუძველი არ არსებობს. მე შევამოწმე ალექსი მოდებაძის, როგორც შპს „პანორამა“-ს (ს/ნ 405261531. რეგ. 29.03.2018წ.) დირექტორის უფლებამოსილება წარმოდგენილი დოკუმენტით: ამონაწერი მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციულ) იურიდიული პირების რეესტრიდან.

მიმნდობის ნების გამოვლენის ნამდვილობისა და გარიგების შინაარსის დადგენისთანავე შედგა შემდეგი აქტი: ალექსი მოდებაძემ (დაბ: 21.02.1978წ. თბილისში, პ/ნ 01008003329, რეგ. მის: ქ. თბილისი, ო. ლორთქიფანიძის ქ. #1, ბ.2), როგორც შპს „პანორამა“-ს დირექტორი, რომელიც შემდგომში მოხსენიებულია, როგორც „მიმნდობი“, გიორგი ხმალაძეს (დაბ:15.04.1982წ. თბილისში, პ/ნ 35001018932), რომელიც შემდგომში მოხსენიებულია, როგორც „მინდობილი“, მიანიჭა შემდეგი უფლებამოსილება:

მუხლი 1. უფლებამოსილების შინაარსი:
მართოს საზოგადოების საკუთრებაში არსებული უძრავი ქონება მდებარე მის: ქალაქი თბილისი, ნუცუბიძე-ვაშლიჯვარის დამაკავშირებელი გზის მიმდებარედ ს/კ 01.10.18.011.077 ამასთან დაკავშირებით წარმოადგინოს საზოგადოების ინტერესები ყველა მესამე პირთან, მათ შორის ნებისმიერ ადმინისტრაციულ ორგანოსთან, იუსტიციის სახლთან, საჯარო რეესტრების ტერიტორიულ სამსახურებთან, მათ არქივებთან, ქ. თბილისის მერიასთან და მის დაქვემდებარებაში არსებულ სამსახურებთან, მათ შორის, თბილისის არქიტექტურის სამსახურთან და ზედამხედველობის სამსახურთან, ურბანული დაგეგმარებისა და არქიტექტურის სამსახურში, გემგეობაში, საკრებულოში, ადგილობრივი თვითმართველობის ორგანოებთან, ნებისმიერი საკომუნიკაციო სამსახურში, ასევე საჯარო თუ კერძო სამართლის იურიდიულ და ფიზიკურ პირებთან ურთიერთობაში, მიმართოს მათ საჭირო განცხადებით, განაცხადებით და სხვა სახის მოთხოვნებით, მიიღოს მათგან შესაბამისი პასუხები, წარადგინოს, მიიღოს და ხელი მოაწეროს ჩემს სახელზე გაცემულ ნებისმიერ დოკუმენტს, თანხმობას, განცხადებას, მიღება-ჩაბარების აქტს, აპლიკაციის ფორმებს, გაასაჩივროს ადმინისტრაციული ორგანოს მიერ მიღებული ნებისმიერი გადაწყვეტილება, შეუკვეთოს და მარეგისტრირებელ ორგანოში სარეგისტრაციოდ წარადგინოს აზომვითი ნახაზები, როგორც მატერიალური ასევე ელექტრონული ვერსიის სახით, აწარმოოს საზოგადოების სახელით საქმეები, მოლაპარაკებები, საპროექტო სამუშაოები, გააკეთოს აზომვითი ნახაზები (მათ შორის ელექტრონული ვერსიით), შეასრულოს ნებართვის მოსაპოვებლად ყველა საჭირო მოქმედება, შეათანხმოს პროექტები, შეცვალოს, პროექტი, მიიღოს მშენებლობის ნებართვები, მოახდინოს განაშენიანების, რეგულირების (გრგ) შეთანხმება, შეაგროვოს, წარადგინოს და მიიღოს ცნობები, დოკუმენტები, ნებართვები, ნახაზები, პროექტები, ამონაწერი საჯარო რეესტრიდან, საკადასტრო გეგმა/რუკა, გადაიხადოს ყველა საჭირო გადასახადი, მოსაკრებელი, აწარმოოს სამშენებლო/სარეკონსტრუქციო სამუშაოები, კორექტირება, ხარვეზის გასწორება, შეიტანოს ყველა სახის განცხადება შეუზღუდავად, ხელი მოაწეროს ყველა საჭირო დოკუმენტს საზოგადოების სახელით ზემოთაღნიშნული დავალებების შესასრულებლად.

მუხლი 2. უფლებამოსილების ვადა:
მინდობილობა გაცემულია ორი წლის ვადით.
მინდობილობა გაცემულია უფლებამოსილების გადანდობის უფლების გარეშე.

აქტის ეგზემპლარები და დანართი

წინამდებარე აქტი შედგენილია სამ თანაბარმნიშვნელოვან ეგზემპლარად, რომელთაგან ერთი შეინახება აქტის მიმღები ნოტარიუს ანჟელა მანიას სანოტარო არქივში, ხოლო დანარჩენი გადაეცემა მიმნდობს.

წინამდებარე აქტის სანოტარო არქივში დაცულ ეგზემპლარს თან ერთვის შემდეგი დოკუმენტი:
შპს „პანორამა"-ს ამონაწერი მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციულ) იურიდიული პირების რეესტრიდან.

მე, ნოტარიუსმა, მიმნდობს წავუკითხე წინამდებარე აქტი და განვუმარტე მასზე ხელმოწერის სამართლებრივი შედეგები, აგრეთვე ის, რომ მას უფლება აქვს ნებისმიერ დროს გააუქმოს ეს მინდობილობა. მან წაიკითხა აქტი, განაცხადა, რომ იწონებს წინამდებარე აქტს და ჩემი თანდასწრებით პირადად მოაწერა მას ხელი. ყოველივე ზემოთქმულს ვადასტურებ ჩემი ხელმოწერითა და ბეჭდის დასმით.

სანოტარო მომსახურების ხარჯები:
გადახდილია სანოტარო მომსახურების საზღაური ,,სანოტარო მოქმედებათა შესრულებისთვის საზღაურისა და საქართველოს ნოტარიუსთა პალატისთვის დადგენილი საფასურის ოდენობების, მათი გადახდევინების წესისა და მომსახურების ვადების დამტკიცების შესახებ" საქართველოს მთავრობის დადგენილება № 507 (29.12.2011 წ.) და ამ დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე საქართველოს მთავრობის 2022 წლის 30 მაისის დადგენილება № 272-ის 31-ე მუხლის საფუძველზე - 30 (ოცდაათი) ლარი, საგადასახადო კოდექსის 166-ე მუხლის საფუძველზე დ.ღ.გ. –5.40 ლარი, 39-ე მუხლის საფუძველზე - 5 (ხუთი) ლარი, ჯამში: 40.40 ლარი.

მიმნდობი: შპს „პანორამა"-ს დირექტორი:

სახელი, გვარი

ნოტარიუსი ანჟელა მანია